№ 20
 პარასკევი, 26 იანვარი 1896

1877—1896

№ 20
პარასკევი, 26 იანვარი 1896

რეროვნული ბიბლიოთეკა

გაზეთი ღირს:

თვე	მან.	კ.	თვე	მან.	კ.
21	10	—	6	6	—
11	9	0	5	5	50
01	8	5	4	4	75
9	8		3	3	50
8	7	2	2	2	75
7	6	5	1	1	50

ცალკე ნომერი —ერთი შაური.

„ივერიის“ ტელეფონი № 227.

ივერია

რედაქცია:
ნიკოლოზის ქუჩა, 21.
ტფილისი.
გაზეთის დასაბარებლად
და განცხადებათა დასაბეჭდად
უნდა მიჰმართონ რედაქციას და წერა-კითხვი
გამავრც. საზოგადოების კანცელარიას.
ფასი განცხადებისა:
ჩვეულებრივი სტრიქონი პირველ გვერდზედ
16 კაპ. მეოთხეზედ—8 კაპ.

„ივერიის“ ტელეფონი №227

ქართული თეატრი.

პარასკევს 26 იანვარს, 1896 წ.
„ქართულ დრამატიულ საზოგადოების“
დასისაგან
წარმოდგენილი იქნება
ქ-ნ მ. მ. საფაროვის
საბენეფისოდ

„ჰამლეტი“

ტრაგედია 5 მოქ. ჯ. შექსპირისა თარ. თ. ივ. მაჩაბლის-მიერ.

მონაწილეობას ღებულობენ: საფაროვისა, ავალოვისა, ჩერქეზიშვილისა, მელიქიშვილისა, ბეზირგანოვისა ჩხეიძისა, და სხვ. ბ-ნნი ყიფიანი, ალექსი-მესხიშვილი, კ. მესხი, გუნია, სვიმონიძე, გედევანოვი, კანდელაკი, ადამიძე, მჭედლიშვილი, საფაროვი და სხვ.

ადგილების ფასი ჩვეულებრივია.
მოწაფეებისათვის ადგილები ლოჟების უკან 65 კაპ.
დასაწყისი სწორედ 8 საათზედ.
მზადდება წარმოსადგენად: ხანუმა ცაგარლისა.

რეჟისორი - ვლ. ალექსი-მესხიშვილი

მთავრობის განკარგულებანი.

ტფილისის ფოსტა-ტელეგრაფის ოდაში დანიშნულ იქმნენ: მოსარჯვეთაგან ლავრენტი გაჩეჩილაძე ჯულფის ფოსტა-ტელეგრაფის კანტორაში ფოსტალიონად, ქუთაისის ფოსტა-ტელეგრაფის კანტორის ფოსტალიონი პარმენ ლიპარტიანი იმავე კანტორის ფოსტა-ტელეგრაფის მოხელედ.

გადაუვანიან იქმნენ: ტფილისიდამ ფოსტალიონი ივანე ბოდოკია, ფოთიდამ ზაქარია გომელაური და ქალაქ ტფილისის ფოსტის 2 განყოფილების ფოსტალიონი იეროთეოზ თავაძე: ბოდოკია—ქუთაისში, თავაძე ფოთისაში, ხოლო გომელაური ტფილისის ფოსტის მეორე განყოფილებაში.

ახალი ამბავი

—

*** დღეს, 26 ინვარს, დანიშნულია ბენეფისი ჩვენის ქართულ სცენის უნიჭიერეს არტისტ ქალის საფაროვისა-აბაშიძისა. საბენეფისოდ დანიშნულია „ჰამლეტი“, ტრაგედია შექსპირისა; პიესაში მობენეფისე თამაშობს ოფელიას როლს, რომელსაც საუცხოოდ ასრულებს, ჰამლეტის როლს თამაშობს ასეთივე ნიჭიერი არტისტი ბ-ნი ალექსი მესხიშვილი; ამიტომ სრული იმედი გვაქვს პიესა საუცხოოდ ჩაივლის და ქართველი საზოგადოებაც, რომელიც დიდად პატივს სცემს მობენეფისეს ნიჭს, შესაფერის თანაგრძნობით მიეგებება ამ ბენეფისს. წარმოდგენაში მონაწილეობას იღებენ ჩვენის სცენის საუკეთესო არტისტნი ქალნი და კაცნი.

*** პირველს თებერვალს ყველიერის ხუთშაბათს, ე. ი. ღირსის მამის შიო მღვიმელის დღეობას შიო მღვიმელის მონასტერში სწირავს თვით წინამძღვარი მონასტრისა ეპისკოპოსი ალექსანდრე. მონასტერში ახალი ქვითკირის სახლებიც ბლომად არის აშენებული მლოცველთათვის.

*** ტფილისის მაზრის უფროსი თავ. ლევან ჯანდიერი, როგორც შევიტყეთ, ამ თვის დამლევს აპირებს მაზ ის სოფლების დავლას რათა პირადად დაესწროს მამასახლისების ამორჩევას.

*** ქუთაისიდამ გვატყობინებენ, რომ იქ არშინ-ნახევარი თოვლი სძევს.

*** ტფილისის საგუბერნიო ადმინისტრაციამ განკარგულება გაუგზავნა მაზრის უფროსებს ეხლავე შეუდგნენ „ნედოიმკების“ შეკრებას.

*** გუშინ რუსეთის ფოსტა არ მიულიათ ტფილისში.

*** ამას წინად ჩვენს გაზეთში მოხსენებული იყო, რომ 23 იანვარს სომეხთა ეპარქიის საეკკლესიო სკოლების ინსპექტორი მანველიანცი მიწვეულია თანდოევის სკოლაში, რათა სომეხთა რვა სკოლა საერო სასწავლებლების დირექტორს გადასცეს. სამშაბათს, 23 იანვარს, თანდოევის სკოლაში მივიდნენ სომეხთა სკოლების უფროსნი, ინსპექტორით მანველიანცითურთ და ტფილისის პოლიციმეისტერის თანაშემწე ბ-ნი სოკოლოვსკი მოსალაპარაკებლად. სომეხთა სასწავლებლების უფროსებმა და საეპარქიო ინსპექტორმა გამოუცხადეს ბ-ნ სოკოლოვსკის, რომ ჩვენ ეჩმიაძინიდამ ჯერ პასუხი არ მოგვსვლია არც ამ სკოლების გადაცემისა და არც უარის თქმის შესახებაო. პოლიციმეისტერის თანაშემწემ ბ-ნმა სოკოლოვსკიმ ოქმი შეადგინა ამის შესახებ და იმავე დღეს დაკეტა თანდოევისა და ნორაშნის სკოლა კუკიაში. ამის შემდეგ საეპარქიო ინსპექტორმა გამოუცხადა სოკოლოვსკის, რომ თქვენ ნულარ შესწუხდებით, დანარჩენს სკოლებს მე თვითონ დავკეტამ ხვალინდელ დღიდამაო, ანანოვის სკოლის გარდა, რომელიც თითონ ეპარქიის უფროსის მთავარეპისკოპოსის სურენიანცის ხელშიაო. მეორე დღეს ე. ი. გუშინწინ 24 იანვარს, დაიკეტა სომეხთა სკოლები: გადაბა, ნორაშენი (მოლნინის ეკკლესიის ეზოში), სურფ ნიშნისა, მარიამიანისა (ნორაშნის ეკკლესიის ეზოში) ავლაბრისა და ნავთლუღისა. გუშინ პოლიციმეისტერს მთავარ ეპისკოპოსი სურენიანცისაგან პასუხი მოუვიდა, რომ მის ყოვლად-უსამღვდელოესობასაც არ შეუძლიან ანანოვის სკოლის გადაცემა კათალიკოსის ნება დაურთველადაო და ამიტომ ეს სკოლაც დღეიდამ დაკეტილი იქნება.

*** კავკასიის რკინის გზის ლიანდაგზე თოვლისაგან შეკრული გზა ჯერ კიდევ არ გახსნილა, გზას მუშები ადგანან და სწმედენ. ჯერ არ იციან როდის გაიხსნება პირდაპირი მიმოსვლა მატარებლებისა. მატარებლები მხოლოდ ხაშურამდე დადიან. შიშობენ ამ დიდმა თოვლებმა გაზაფხულზე ისეთივე დღე არ დააყენოს რკინის გზის ლიანდაგს, როგორიც ამ შემოდგომაზე.

*** ახალ-ბაიაზეთის მაზრის უფროსი ატყობინებს ტფილისის პოლიციმეისტერს, რომ ამ რამდენიმე თვის წინად ს. კოხტიდამ მუშაობიდამ შინ მოდიოდნენ სოფ. დამკარდაშში ამ სოფლის მცხოვრებლები ბაღდასარ ვართანოვი თავისის ცოლით თაქუითურთ და შვილებით: აკოფ, აირაპეტ, სარქის და ბაღდასარი-

ფელეტონი

ჩვენი ეხლანდელი სიბრძნე-სიცრუე.

ლექცია პირველი.

მოწყალენო ქალბატონებო და მოწყალენო ბატონებო.

მე არ ვიცი როგორ აღმოვთქვა რა სიხარული ჰდღეს და გადმოდის ეხლა ჩემს გულში, რომ გხედავთ ამდენს ბრწყინვალე გვამს, აქ მობრძანებულს ჩემდა სასმენლად. ბაგენი ჩემნი ნამეტანობისაგან სიხარულისა ვერ შემძლებელ არიან აღმობეჭდონ ის, რაც აწ ჩემს გულშია. სწორედ მოგახსენოთ, არც სასურველია. ვშიშობ, რომ ეს გულიდამ აღმობეჭდვა ჩვეულებად არ გაგიხდეთ აქაო და ასე ჰქმნაო ლექტორმა. ბაძი ხომ კარგია ზოგჯერ, ზოგჯერ-კი ღმერთმა შეინახოს. გულიც არის და გულიც. ვისაც ფაქიზად გული შენახული არა აქვს, იქიდამ ამოსული არც ყოველთვის კეთილსასურნელია, არც ყოველთვის სასიამოვნოდ დასანახი, მაგალითებრ, ბოყინი, ზაფრა და სხვა ამისთანა. ბოყინი, ზაფრა კუჭის საქმეაო, მეტყვით, და არა გულისაო. მართალია, მაგრამ გული, გონება და კუჭი ერთმანეთზედა ჰკიდიან, ნამეტნავად ეხლანდელ დროში. ამას მერმეცა ვნახავთ. ეხლა-კი უკაცრაოდ ვარ, რომ ამისთანა ცუდ-გუნებიანი სიტყვა, როგორც ბოყინი და ზაფრაა, ვიხმარე. სიტყვამ მოიტანა, მაგრამ სიტყვამ ისეთი რამ უნდა მოიტანოს რომ სასიამოვნო იყოს, ბოყინი და ზაფრა ამისათვის რა გამოსადეგია. კიდევ მოგხსენებთ უკაცრაოდა ვარ-მეთქი.

მე ვხედავ, ბატონებო, რომ ჩემმა უკაცრაობამ თქვენ გაგაკვირვათ. ნუ თუ ამ სიტყვას თქვენში ლილახანა წაუხდა და ხმარებისაგან განდევნილ იქმნა? არც საკვირველია. მე მგონია, ერთი დიდი „საბუთი უნდა გქონდეთ ეს უკაცრაობა ჯვარს აცვათ და საიქიოს გაისტუმროთ. თუ ბოყინი და ზაფრა საბოდიშოა, თუ ამისთანა უმანკო სიტყვებისათვისაც უკაცრაობას მოვითხოვთ, მაშინ ხომ ჩვენმა სასიქადულომ „კვალის“ რედაქციამ თავისი დუქან-ბაზარი უნდა აალაგოს, რადგანაც წლითი წლობამდე, ყოველს საათს, წამ და უწუმ ამ უკაცრაობის თქმას მოუნდება. როდის-ღა მოიცლის იმ მშვენიერ და ტკბილ უშვერ-სიტყვაობისათვის, რომლითაც ასე სამართლიანად იტაცებს ჩვენს სულსა და გულს და რომელიც ობოლ მარგალიტებსავით მოეყვანა ამას წინად „დავიწყებულ მწერალს“ ივერიაში.

მე მესმის, ბატონებო, თქვენი საბუთიანი შიში, რომ ამ უკაცრაობას არ გადააყოლოს ბ-ნმა გ. წერეთელმა იგი ლაზათი, რომელიც ასე ამშვენებს „კვალსა“ და მით არ მოგაკლდეთ დიდი სიამოვნება «კვალის» კითხვისა. მართლადაც, უკაცრაობის ცხრილში რომ გაატაროთ „კვალი“, რაღა დარჩება ძირს, რომ ვიკითხოთ, ვისწავლოთ და ვისიამოვნოთ ისე, როგორც დღეს ვკითხულობთ, ვსწავლობთ და ვსიამოვნებთ. რაკი ეგრეა, მეტი რა გზაა, მეც მოვიხრი თავს ამ შიშის წინაშე და თქვენთან ერთად პანღურსა ვკრავ ამ დრო-გარდასრულს უკაცრაობას. ხომ ხედავთ, ბატონებო, რა დრო და ჟამის ამყოლი და მორჩილი კაცი ვარ. ტყუილად-კი არის ნათქვამი, დრონი მეფობენო. დიაღ, მე არა ვგევარ იმ ვილაც „დავიწყებულ მწერალს“, რომელმაც „ივერიაში“ რაღაც ძველს ზრდილობასა და მართებულობაზე ჩამოაგდო ლაპარაკი. იმიტომაც არის დავიწყებული, რომ ამისთანა ძველ-ძულებზე, ხარა-ხურაზე ჭლაპარაკობს. უკაცრაობა მკვდარი სიტყვაა და დეე მკვდარი მკვდარს ავკიდოთ საფლავამდე წაიღოს. მე-კი ახალი კაცი ვარ და არა რა ახალი არ მეუცხოების.

ერთის სიტყვით, რა მეტი გზაა, დაგეთანხმებით და ამ ზეტ-ხორცს უკაცრაობას თავისს ძველ პატრონებს ჩავაბარებ. იქნება გეგონოთ, ამით მინდოდეს თავი მოვაწონო გ. წერეთელს, რომ მესამე დასში შესასვლელად თავისის ბედნიერის ხელით კარი გამიღოს. სულაც არა. მე უფრო შორს მინდა გადავბოტო. თუ ღმერთი შემეწევა და მე ჩემით მოგაწონეთ თავი, მე მეოთხე დასს შევადგენ და მეთაურად გავუხდები. ოთხი სამზე ერთით წინ არის და მეც მინდა, თუ ვიქნები, წინ ვიყო. ბ-ნ გ. წერეთლის დიდი ღვაწლი მით არის დაუვიწყარი, რომ ამისთანა ადვილი გზა გვიჩვენა წინაურობისა: საქმე ეხლა თვლაშია, მეოთხეს მეხუთე მოჰყვება, მეხუთეს- მეექვსე და წავა ესე მინამ ადამიანს სათვალავი შემოაკლდება. ქართული პროგრესსი ეს არის და ევროპისა-კი რა მოგახსენოთ.

მეტყვით, რომ მეთაურობას ცოტა რამ სხვა ყუათიანი საფანელიც უნდაო. არ ვიცი, რად უნდა გეგონოთ, რომ მე ამ საფანელს მოკლებული ვარ. მე, როგორც ვხედავ, მინამ ჩემს განზრახულს საგანზე დავიწყებდე ლაპარაკს, მომინდება მოგახსენოთ ჩემი ვინაობა: რა ვარ და რას უნდა მოელოდდეთ ჩემგან. მე, ბატონებო, ასეც ბჩვარში ნუ გამახვევთ. მე ბევრი რამ კარგი მჭირს. ვილაცამ წამ ოროშა, რომ თავისის თავის ქება დამპალ კიტრადაც არა ჭლირსო. სტყუის, თქვენმა მზემ. მაშ რამ ააცოცა ჩვენი ბრძენი ბ-ნი გ. წერეთელი და დაასკუპა მუმიასავით „მესამე დასის“ თავზე? ამისთანა ცხადს მაგალითს მარტო ბრმა თუ ეურჩება და იმედი მაქვს, თქვენში ბრმა არავინ არის ღვთისა და თქვენის წყალობითა.

ერთის სიტყვით, მე ბეკრი რამ კარგი მჭირს. ჯერ ერთი რომ ბრძენი ვარ, თუმცა თ. მ. მაჩაბლისავით მარტო მე ვიძახი ჩემს თავზე ამას და სხვისაგან ჯერ არავისაგან გამიგონია. რა ვუყოთ, რომ სხვას არ მივაჩნივარ ბრძნად? გალილეი ბრძენი კაცი იყო და კინაღამ ცეცხლში არ დასწვეს, როგორც სულელი. განა გალილეი ბრძენი არ იყო!.. თუ მაშინ ვერ იცნეს, ეხლა ხომ იციან!.. მე და თ. მ. მაჩაბელი ამითი ვნუგეშობთ.

მეორე, რომ თუ ლაპარაკი გავაბი ცხრა ულელი ხარიც ველარ დაშაყანებს, თუნდა ენაზე წისქვილის ქვაც დამკიდოთ. ნუ იტყვით, რომ ყბედი ვარ, ან ენის ქავილი მჭირდეს, დღეს ჩვენში ისე გახშირებული, როგორც ინფლუენცა. ნურას უკაცრაოდ. თუ თ. მ. მაჩაბელი ყბედია, მეც დეე ყბედი ვიყო. ამა თ. მ. მაჩაბელზე ვინ იტყვის ყბუდიაო. ცოდვა არ არის იმაზე ეს ითქვას. ენა ძირში არ უნდა მოეჭრას ამის მთქმელს!.. თუნდ ვთქვათ, ისიც ყბედი იყოს და მეც. მე ამისი არ მეფიქრება. ამისთანა კაცთან ჯოჯოხეთიც სამოთხეა, თუ ნამეტნავად ყურები დაცმული გაქვს. არ ეფიქრება-მეთქი, იმიტომ-რომ თქვენ ისე გაგაჩვიათ და დაგაჩვიათ თ. მ. მაჩაბელმა, რომ მის მერმედ ძნელია ვინმე დაიწუნოთ, აქაო და ყბედიაო. ამ სახით თქვენისა და უფრო თ. მ. მაჩაბლის წყალობით იმედი უნდა ვიქონიო, რომ მეც იმოდენა მოთმინებას შემაწევთ, რამოდენადაც შეაწევდითხოლმე ჩემს წინა-მორბედს თ. მ. მაჩაბელსა მით უფრო, რომ სად მე და სად ის, რაკი ყბედობაზე მივარდება საქმე. სად კუის ცოცვა და სად გაჭენებული ცხენი. აწი აწოც რომ ვიძახო, ვერ მოვეწევი. ვერ ვიტყვი, რომ ყბედობა ჭირი იყოს და თუ ჭირია, შეჩვეული ჭირია, ნამეტნავად თქვენთვის.

მე ვამბობ თქვენთვის, იმიტომ-რომ ქართველები ხართ და ქართველებს განა ერთი და ორი ბედნიერი შემთხვევა ჰქონიათ გეწვნიათ მთელი სიტკბოება ლაპარაკისა, როცა თ. მ. მაჩაბელი მოხსნის ხოლმე პირს თავისს გუდას. ამიტომაც მოგახსენეთ, თქვენ ამ ჭირს შეჩვეული ხართ-მეთქი და შეჩვეული ჭირი ხომ შეუჩვეველს ლხინსაც სჯობია. აი, თუნდა ყბედადაც მიმიჩნიოთ, ჩემი ნუგეში რაშია. მართალია, ბევრჯელ მოუბეზრებია თქვენთვის თავი თ. მ. მაჩაბელს და

თურთ და ნათესავებით ტიგრან და არაქ მისკინოვითურთ და რვანივე დაიკარგნენ და აქამდე ჯერ არავინ იცის რა ქმნილან. ერევნის გუბერნიაში პოლიციამ იგინი ვერ იპოვნა და იქნება ტფილისის გუბერნიაში ვინმემ იცოდეს რა მოსვლიათ ამ საბრალოებს, რომ არსად არა სჩანან და სახლი უპატრონოდ გაუშვიათო.

*** როგორც გაზ. «ნოვ. ობ.»-ს შეუტყვია, კავკასიის სამოსწავლო მთავრობას შუამდგომლობა დაუწყვია, სადაც ჯერ არს, რომ მიეცეთ პოსობია: კავკასიის სამასწავლებლო სემინარიას ქ. გორში 625 მან., ქუთაისისას—1,200 მან. და ერევნისას 600 მან. ამ ფულებით სემინარიებს შეეძლებათ მეურნეობის სპეციალურად მცოდნე პირნი (საშუალო სასწავლებლიდამ მაინც) მიიწვიონ მასწავლებლად, რომლებიც ხელმძღვანელობას გაუწევენ მასწავლებელთა კრებებს მეურნეობის სხვადა სხვა დარგის პრაქტიკულ მეცადინეობისათვის.

*** ამავე გაზეთის სიტყვით, 'გამგე სახელმწიფო ქონებათა ა. ს. გამრეკელი, თანახმად ტფილისის ტყისდამცველ კომიტეტის დადგენილებისა, მოხსენებას თურმე ამზადებს იმის შესახებ, რომ ჩვენს მხარეშიც იქმნას მთლიანად შემოღებული ტყის დაცვის კანონი.

*** 26 დეკემბერს, 1895 წ. ფოთის საზოგადო „სობრანიეში“ გამართულ „შობის ხიდამ“ შემოვიდა: ბილეთების ფასი 208 მ. 62 კ., ბუფეტიდამ 51 მ. 85 კ. და შემოწირული ბ. ეკასაგან 10 მ. სულ—270 მ. 47 კ. აქედამ დაიხარჯა: შობის-ხის სამკაულზედ და ბავშვების საჩუქარზედ 70 მ. 52 კ., ბუფეტზე 22 მ. და 48 კ., მარკებზე 12 მ. 90 კ., სხვა სარჯი 17 მ. და 96 კ. სულ 123 მ. 86 კ. დარჩასალდი ფული: 146 მ. 61 კ., რომელიც მიეცა სასწავლებლის ახალის სახლის ასაშენებელ ფასად.

კომიტეტი „გულითადს მადლობას უცხადებს ფოთის „საბრანიის“ უპატესთ დარბაზის უფასოდ დათმობისათვის, ბ. ლ. ტუღუშს ავეშებისა და ბილეთების მოქმედ დასტამბისთვის, ქ-ბ შესტერიკოვისას და მიქაბერიძისას შემწეობისათვის სალამოს გასართობში და აგრეთვე ბ. ბ. ნ. ჯანტურიას და . დედაშვილს სიმკაულის ასაკად დათმობისათვის.

ᲙᲝᲠᲔᲡᲞᲝᲜᲓᲔᲜᲪᲘᲐ.

ფოთი: ჩვენს უმისოდაც წალეკილ-განადგურებულს ქალაქს 19 იანვარს დიდი უბედურება ეწვია. რამოდენიმე ბაზარის დამამშვენებელი მაღაზია იმსხვერპლა ცეცხლმა. სალამოს შვიდი საათი იქნებოდა, რომ გაისმა ზარის რეკის ხმა. უეცლა თავ ზარ დატმეულნი გამოცვივდნენ თავიანთ სახლებიდამ და გაიძახოდნენ: „რა ამბავია, ცეცხლი ხომ არავის გაუჩნდაო?“ თითქმის მეოთხედმა საათმა განვლო, მთელი ქალაქი შეინძრა მანამდის, სანამ ადი ამოვარდებოდა მაღაზიებიდამ და მთელს ქალაქს ეგანათებდა. დიდი და პატარა ცეცხლისაკენ მიეშურებოდა. მიმსვლელი თვალ-წინ გულ-შესაზარი სურათი ესტებოდათ. იწვოდა საქონლით გამოტენილი მაღაზიები და შეკვა-კი არსაიდამ არ იყო, და ბოლოს, სანამ ცეცხლი კარგად გაძლიერდა, მოიტანეს ხოლიციელებმა წყლის საქრობი მანქანა და თუმცა ბეკრს ეცადნენ, მაგრამ გაძლიერებულმა ცეცხლმა მაინც თავისი გაიტანა და ცხრა მაღაზია სულ ერთიანად გადაბუგა. ცეცხლის გაძლიერებას ზღვის ქარიც ხელს უწყობდა, რომელიც ეს რამოდენიმე დღეა განუწყვეტლივ ქრის და თან წვიმს.

ცეცხლი პირველად ტეკვაშვილის მაღაზიას გაუჩნდა. მიზეზი ცეცხლის გაჩენისა დარწმუნებით ჯერ არავინ იცის. შენობები ქვისაგან დაზდგეულია, მხოლოდ საქონელი-კი დაუზღვევარი იყო. როგორც ამბობენ, ზარალი დიდია, კერძოდ რომ ავიღოთ, მარტო ბ. ტეკვაშვილს 15,000 მან. საქონელი დაეწვა.

ორიოდე სიტყვა ჩვენის გულ-გრილ კაუბატონების შესახებ. ზოგიერთი უვიცი კაუბატონები მიშველების მაგიერად იმას სცდილობდნენ, რომ რაიმე ესარგებლათ და ხელი მოეთბოთ; როგორც ცეცხლისაგან დაზარალებულთ აგვისნენ, გარეთ გამოტანილი საქონელი სულ ერთიანათ დაგვტაცესო. ასეთი საზიზღარი მოქმედება ჩვენთვის მეტის-მეტად სამარცხვინოა. უეცლა ამგვარ საქმეს ამბავს ისიც უნდა დაუმატო, რომ 20-ს ღამე საშინლად გაძლიერდა ზღვის ქარი, რომელიც დასავლეთიდამ ქრის. ქარის გაძლიერებამ ზღვა ისე საშინლად გააოთრა და აქუსა, რომ შორიდამ მაუურებელსაც-კი აშინებს მისი მთების ტოლა მოსრიალე ზვირთები. ისე მრისხანედ სცემს და ებრძვის თავისს ბასრი ტალღებით ნავთ-სადგურს, რომ შინ მტერია თუ დიდ ხანს გასტანა ამგვარმა მრისხანე ბუნების მოვლენამ, ჩვენს ნავთსაუდელს ტუდად მოაქცევს. ჯერაც ტოტა ხნის ბრძოლამაც-კი დიდი ზიანი მოუტანა ჩვენს ნავთ-სადგურს: გაგდიჯა ჩრდილოეთსს ეორე, ერთ ადგილს გამოაცალა სარძიგველი მასზედ მიმაგალს რკინის გზის ლიანდაგს, დაამტვრია რამოდენიმე სანდლები „ბარგასი“. დიდრონ გემებ შორის ნავთ-სადგურში მხოლოდ ერთი უცხოეთის-ლა დარჩა, რომელსაც შავი ქვა უნდა წაეღო და დღეს დიდს შიშშია.

ი. კ—ძე.

21 იანვარი, 1896. წ.

ნარკვევი

(ეურნალ-გაზეთებიდამ.)

„კავკაზეც“-ისთანა ბედი იშვიათად თუ ვისმე ღირსებოდეს. მაზედ დღეს ლაპარაკობს მთელი საქართველო და რუსეთის დიდმა ეურნალებმაც-კი მიაქციეს ყურადღება. „ნოვ. ვრემია“-ს მმართველი უწესოებასაც არ დაერიდა და ადგილობრივ მცხოვრებს „ეშაკი“ (სახედარი) გვიწოდა, „კავკაზეც“ ის პირით. დღეს „კასპი“-ს თანამშრომელი „ალფა“ აი რას ამბობს კავკაზეცზე;

„ამ კაუ-ბატონს უთუოდ ბედი არა სწყალობდა თავისს სამშობლოში. კარგი ადგილი კერ უშოვია შინ და წამობრძანებულა საქართველოში დიდის აზრით გამსჭვალული. მას „რუსეთის ინტერესების დაცვა აღუბეჭდია თავისს დროშაზე და ეს ხომ, რასაკვირველია, კარგი იარაღია მისთვის, რომ კარგად მოაწყოს თავისი ბედ-იღბალი“.

„მე—პატრიოტი კარ! გაიძახის „კავკაზეცი“ რუსეთის ინტერესებს არავინ ყურადღებას აღარ აქცევს, მე უნდა გემსახურო მას.

„აი ამ უსაქმურს რუსეოელს კაუ-ბატონს, რომელსაც უთუოდ კარგი მადა აქვს, უგუნურების ჯაგშნით აღჭურვილია, ეოველია სირცხვილი დაუკარგავს და უქნევს ვიღაცას მუშტებს, ჩვენი განაბირა ქვეყნების სალლო დრო-ჟამს, როცა ჩვენში დავთრგბი აირია, როცა ძაღლს უკაცრაოდ არ ვიყო—პატრონი ვერ უცვნია და პატრონს ძაღლი, შესაფერი სახელი რამ დაერქვას. მე ვამტკიცებ, რომ ეხლანდელი დრო დროა სიბრძნე-სიცრუისა. მე ვამბობ ჩვენი, ესე იგი, ქართველების დროა-მეთქი ასეთი. სხვებთან მე საქმე არა მაქვს. ყველა ერს ეხლანდელს დროში იმდენი თავისი საკუთარი თავში საცემი აქვს, რომ ძნელია სხვისთვის მოიცალოს ვინმემ. მაინც და მაინც, დეე სხვამ თავისი იცოდეს, ჩვენ ჩვენი უნდა შევიტყოთ.

გთხოვთ, დაიხსომოთ, რომ ამ საგანს პირველად მე მივეკარე, ეს საგანი პირველად მე აღმოვაჩინე, თორემ ბოლოს, როცა მე ამით სახელს ვიშოვი, ბ-ნი გ. წერეთელი წამომეცილება, სახელს პირველობისას ის დაიჩემებს და სადაოდ გამიხდის საქმეს. ესეთია მისი საქებური ზნე-ჩვეულება.

რას ჰნიშნავს ეს ორი სიტყვა—სიბრძნე-სიცრუე, ერთმანეთზე გადაბმული? ამისი პასუხი, ამისი ახსნა შორიდამ დაწყებას ნდომულობს. ვეცდები ჯერ ყველაზე უწინარეს მოგახსენოთ რა აზრი უნდა ჰქონოდა ამ ორს ერთმანეთთან განუყოფელად ჩართულს სიტყვას უწინ. ეს ახსნა მოგვინდება, რომ წინანდელი სიბრძნე სიცრუე ეხლანდელს პირის პირ წავუყენოთ და მით გავიადვილოთ გაგება ეხლანდელი სიბრძნე-სიცრუე რით არის განსხვავებული. ჰხედავთ, ბატონებო, რა მეცნიერულ გზით მივდივარ. მაშ!.. განა ტყუილი გეგონათ, რომ ვთქვი ბრძენი ვარ-მეთქი. ბრძენი ვარ, მაშ რა ჯანაბა ვარ.

საბა ორბელიანმა რომ თავისი ზღაპრები დასწერა, სიბრძნე-სიცრუის წიგნი დაარქვა. მეხშირად ჩავფიქრებივ რ ამ უცნაურს სახელს წიგნისას. მართლაც, სადაც სიბრძნეა, იქ სიცრუეს რა ხელი აქვს? სიბრძნესთან სიცრუე რა მოსატანია? რა სიტყვის მასალაა? რა უგავთ ერთმანეთსა? საბა ორბელიანი—ეს ბრძენი, დარბაისელი კაცი, რად იკადრებდა სიბრძნეში გაერია სიცრუე? ან რა სახარბიელო სახელია სიცრუე?

მე ვფიქრობ, რომ საბა ორბელიანს ამის თქმა უნდოდა: მე ზღაპარს გეუბნები და სიბრძნეს-კი გამცნებო. ზღაპარი მოგონილი ამბავია, არა-მართალი, მაშასადამე, სიცრუეა. ამ მხრით წიგნი საბა ორბელიანისა სიცრუეა. ის სიცრუე-კი არა, რომელიც სწამლავს და ჰშხამავს ადამიანს და სიცრუის მთქმელს უფრო სთხრის და აუწმინდურებს, ვიდრე სხვას. ის სიცრუე-კი არა, რომელსაც აუღია ურცხვად თავი და ქურდულად იკბინება გესლიან მორიელისავით და რომელიც ასე საზიზღარია და სამართლიანად დევნული ყოველ პატიოსან კაცისაგან. ის სიცრუე-კი არა, რომელსაც ბუდე გაუკეთებია ჩვენს სასიქადულო „მესამე დასის“ ეურნალში, ბ-ნი გ. წერეთლის თავ-მოსაწონებელ „კვალში“ და რომელშიაც იგივ ბ-ნი გ. წერეთელი კრუხადა ზის და სჩეკს ტყუილების წიწილებს და ყოველ კვირა გამოჰყავს იარმუკაზე გასასყიდად.

საბა ორბელიანის სიცრუე—უჰ, რა ცუდი სიტყვაა! ნეტავი ეს სამი სიტყვა ერთმანეთზე გადასაბმელი არ

გიკივლიათ; კაი, თუ ღმერთი გწამს, გეყოფა, გაგვეცალეო. მაგრამ შენც არ მამიკვდე. იმას წარბიც არ შეუხრია, მითამ აქ არაფერიაო. ფეხიც არ მოუცლვია, ისე მდგარა, როგორც გაუტეხელი ციხე. მეც თუ ასე მოგაბეზრეთ თავი და დამიკივლეთ, წადი, მოგვშორდიო, რა გგონიათ? განა მე იმაზე ნაკლები ვაჟ-კაცი ვარ, რომ კალთები ავიკრიბო და გავიქცე. მე თ. მ. მაჩაბლის დარიგებული ვარ: თუ უნდათ, თვითონ წავიდნენ და სულ ერთიანად გალაგდნენ, შენ შენსას ნუ დაიშლი, თუნდაც მარტო დარჩეო. ეს უბრალო კაცის სიტყვა ხომ არ არის, რომ ერთს ყურში შეუშვა და მეორიდამ გაუშვა.

მესამე ჩემი კარგი ის არის, რომ როცა გული ფულურო მაქვს და შიგ არ არის-რა, გულში ცემა ვიცი, როგორც თ. ი. მაჩაბელმა, მითამ და იმის ნიშნად, რომ ვიწვი და ვიდაგვი ქვეყნისათვის. მე მირჩიეს რომ სჯობს ხახვი იქონიო ჯიბეში და როცა მაგისთანა რამ დაგჭირდეს, თვალები ხახვით მოისრისო, ცრემლები მოგედინება და უფრო დაგიჯერებენო. მაგრამ შენც არ მამიკვდე, სად გულში ხელის ცემა და სად ხახვი!.. გულში ცემა ვაჟკაცური საქმეა. ხახვი რას მიქვიან. ეს ჩემი ჩვეულება გულში ხელის ცემისა, ეგრედ კარგად შეთვისებული თ. ი. მაჩაბლისაგან, იმიტომ მოვიტანე აქ, რომ გაგაფთხილოთ და ხელის გაშლაზე შორს იყვნეთ ჩემგან. რა ვიცი? იქნება ხელის ქნევაში, როცა ძალიან გავფიცხდები, ვეღარა გავიგორა და ვისმე ხელი მოგახვედროთ.

გთხოვთ, თუ ეს მოხდა, მეტის-მეტს ჩემს გულის-ტკივილს მიაწეროთ და სხვას არასფერსა. რა ვქნა? გულში რომ ნაპერწკალიც არ იყოს, მაინც ხანდისხან დამჭირდება გაჩვენოთ, რომ შიგ გახურებული თორნეა. თორნე ხომ ეიცით: პურს არსებისას აცხობს.

ახლა იმას იკითხავთ: რაზე გაბრაზებულიხარ ასე ქსელსავით და აღარ ათავებო. მასზე, ჩემო მოწყალენო ქალბატონნო და ბატონებო, რომ ხვნაში პირობის დადება სჯობს, თუ გინდა რომ მკაში არ წამოგედავონო. ეხლა რაკი გამოგემცნაურეთ, მე აღარაფრის შიში არა მაქვს. უსათუოდ ჩემთან ერთად იტყვით, რომ მე, ესე იგი, თქვენს ყურ-მოჭრილს მოსამსახურეს ყოველი ის სიკეთე მჭირს, რაც საჭიროა მეოთხე დასის მეთაურობისათვის. ხუმრობაა, ერთს კაცს წილად ჰრგებოდეს უშვერ-სიტყვაობა გ. წერეთლისა, ყ[illegible]ედ-სიტყვაობა თ. მ. მაჩაბლისა, ფულურ-სიტყვაობა თ. ი. მაჩაბლისა! მართალია, ზოგიერთი სწავლული და მეცნიერი ამტკიცებს, რომ ეს სამივ ერთად დომ ხალსავით რომ აურია, კარგად დაზილო და ერთს კეცზე გამოაცხო, ის გამოვაო, რასაც რუსები „ნულს“ ეძახიან, ფრანგები «ზეროს» და ქართველები ილია ხონელს. მაგრამ სცდებიან, ნუ გჯერათ. ამ სამის კაცის ღირსება მარტო მე მარგუნა ბედმა და სამება იგი, ზელით, თუ გათქვეფით ერთ-არსებად ქცეული, მარტო მე ვარ!.. მე ვარ-მეთქი!.. ხომ ხედავთ, რაკი „მე“ ვთქვი, გულში ისე ვიკარ ხელი, რომ კინაღამ გადავიქეცი. ასე იცის თ. ი. მაჩაბელმაც, როცა თავისს თავს ახსენებს და თავისს „მეს“ მიეყუდება ხოლმე, როგორც ბოძსა. ეხლა გკითხავთ თქვენ: აბა რა მიმიგავს რუსულს „ნულს“, ფრანგულს «ზეროს» და ქართულს ილია ხონელს.

მე გავათავე რაც სათქმელი მქონდა, მინამ შევუდგებოდი ჩემს განზრახულს საგანს. იქნება, გიხარიანთ კიდეც, მადლობა ღმერთს ძლივს გაათავაო. მერწმუნეთ, მე თუ აქ ვიღწვი მარტო თქვენის გახარებისათვის. მარტო ერთი რამ მედარდება. მე,—ჩემის თავის ამბავი რომ ვიცი—თუ ერთი აღვირი მივუშვი ჩემს ენას, ხშირად მოგინდებათ ნატვრა: უჰ, თქვენი ჭირიმე, როდის გაათავებსო. მაშასადამე, ხშირად მოგეცემათ მიზეზი გაიხაროთ,—მადლი „უფალსა, ძლივს არ გაათავაო. ეს გახარების გახშირება და, მაშასადამე, გაიეფება ვერაფერი თამასუქია ჩემთვის. ვიცი, კარგად ვიცი, რომ ოდეს ტურფა გაიეფდეს აღარა ღირს არცა ჩირად. მაგრამ გულს არ გავიტეხ. საცა თევზი არ არის, იქ კიბოს თევზად ჰხადიანო, იტყვიან რუსები. „დრო მოვა და გატკბილდების ხილად სჭამენ პანტის ჩირსა“, ამბობენ ქართველები. მეც ვითომ კიბო ვარ უთევზურ ადგილას, ან პანტის ჩირი უხილო ქვეყანაში. გთხოვთ გამიტანოთ და დამჯერდეთ, რაცა ვარ.

ეხლა დროა შევუდგეთ ჩემის ლექციების საგანს. სმენა და გაგონება!.. საგანი ჩემის ლექციებისა არის ეხლანდელი ჩვენი სიბრძნე-სიცრუე.

იქნება ამ სათაურმა გაგაოცოთ. მე იმდენი თქვენი გაოცება არ მინდა, რამდენიც ის, რომ ამ უთავ-ბოლო სიტყვებს ლანძღავს და აგინებს, სწამებს ათასნაირ უცნაურს. მთელი მისი წერილები მხოლოდ ამგვარი სასაცილო სიტყვებით არის ავსილი. გვარწმუნებს, მაგალითად, რომ სა ქართველოს მცხოვრებნი არა სთესენ, არა მკიან, არამედ იკვებებიან ბალახ-ბულახითა და ხილით, თუ ადგილობრივ მცხოვრებთ ჯამა მოუნდა, გამოვა მინდორში, მოსწყვეტს ბალახს შესჭამს და სრულიად გამაძღრად მიახჩხიან თავი.

რაც შეეხება აქაურ ავაზაკებს, „კავკაზეცი“ გვირჩევს მიეიჩნიოთ იგინი მხეცებად და მცხოვრებნი მიაჩვიოთ მოექცნენ მათ ისე, როგორც ნადირს, მაგალითად, თუ სადმე გამოჩნდა ეაჩადი, მოვკრიბოთ ფული (ასე ათას-ხუთას მანეთამდის) იმ სოფელში, სადამაც ეაჩადა გავარდნილი, და გამოვაცხადოთ, რომ ვინც მას დაიჭერს მიიღებს ამ ფულს.

არა მგონია დასძენს „კავკაზეცი“ ეს ჩემგან მოგონილი საშუალება იყოს ანუ სამართლო ან სასტიკიო. ეშვიათად მოხდება ამაზედ მეტი უსირცხვილობა. ამგვარი უსირცხვილო, უსინდისო ჭორებით „კავკაზეცს“ უნდა დაკვაჯერო, რომ დიდი ერთგულია მამულისა. ამგვარი კაცი ამბორებს რუსეთის ინტერესების დაცვას.“

ჩვენის მხრით რაღა უნდა დაუმატოთ „ალფას“ სიტყვებს?

უცხოეთი

ოსმალეთი. აი რას ამბობენ სხვადა სხვა გაზეთები ოსმალეთის და რუსეთის კავშირზედ: „იტალია“ ამ-

ბობს, რომ ამ კავშირის შესახებ თუმც ოფიციალურად არა ვიცით რა, მაგრამ ადვილად შესაძლებელია, რომ იგი მოხდა. ოსმალეთის ეხლანდელი მდგომარეობა ბევრში წააგავს იმას, რომელშიც ის იყო 1833-ში. გასაკვირვალი აქ არის მხოლოდ რუსეთის დიპლომატია. უნკიარ-სკელესის (1833 წლის) ხელშეკრულობის შემდეგ ოსმალეთსა და რუსეთს შორის ორი ომი მოხდა და ამ საუკუნეში-კი ოთხჯერ ეომა რუსეთი ოსმალეთს. გარდა ამისა ყველამ კარგად იცის, რომ რუსეთს უნდა კონსტანტინოპოლი დაიკავოს. მიუხედველად ყოველივე ამისა სულთანი ხელს აწერს ისეთს პირობას, რომელიც რუსეთის იმპერატორის ხელქვეითს ქმნის და მის მფარველობის ქვეშე აყენებს მის სამეფოს. ახლა ეჭვი აღარ არის, რომ რუსეთის დიპლომატიას დიდი ბედი აქვს და ამიტომ დიდი ნაყოფიც მოაქვს. ეხლა თუ დავიჯერებთ, რომ ეს კავშირი მართლა არსებობს, რა შედეგი მოჰყვება მასა: მშვიდობიანობა თუ ომი? ვინ იტყვის ამას. უნკიარ-სკელესის ხელშეკრულობის განახლებაა ესა, ამბობენ, თუ ეს ასეა, მაშ არც ამას მოჰყვება ომი. მაშინაც კინალამ არ ატყდა ომი, ინგლისმა და საფრანგეთმა თავი შეურაცყოფილად მიიჩნიეს და ყალყზედ შედგნენ, მაგრამ მეტერნიხის გონიერმა საქციელმა ყველა ჩააჩუმა და ხელშეკრულობა დავიწყების მორევმა ჩანთქა. თუ ეხლანდელი სულთანი, აბდულ ჰამიდიც ისე მოიქცა, როგორც მისი წინაპარი მაჰმადი, მაშინაც ისე იქმნება. რადგან საფრანგეთი რუსეთს დაუმეგობრდა, რასაკვირველია, დღეს

ამ კომისიის სხდომა დაიწყო ამ დღეებში. ახალ-ჩეხთა დეპუტატმა კრემარჟმა წარმოადგინა ვრცელი პროექტი თხოვნისა, რომელშიაც აღწერილია ეხლანდელი სამწუხარო მდგომარეობა ჩეხიისა, როგორც ეკონომიურის ისე სოციალურის მხრით მოთხრობილია ისტორიული განვითარება ჩეხიის სახელმწიფო უფლებისა და განხილულია თუ რა მნიშვნელობა აქვს ამ უფლებათა საფუძველს ჩეხიისა და მისი კორონისათვის. იქვე ნათქვამია, რომ ჩეხიის ხალხი ყოველთვის მზად არის მსხვერპლი შესწიროს ფინანსების მხრით მონარხიის გაძლიერებისათვის, ეცადოს ეროვნებათა შეთანხმებას, რომ ჩეხიის ხალხი ყოველს ღონეს იხმარს, რათა თავისი ისტორიული უფლებანი დაიცვას.

ამ პროექტის წინააღმდეგი გახდა ავსტრიელი დეპუტატი, ლიბერალი, შლეზინგერი, ჩვენ კონსტიტუციის მომხრენი ვართ, ვეცდებით ყოველთვის დავიცვათ იგიო და ამისათვის ამგვარს თხოვნას ადგილი არა აქვსო. ამის შემდეგ შლეზინგერმა წარადგინა წერილობითი პასუხი ამ თხოვნის შესახებ და მერმე ავსტრიელი დეპუტატები ზალიდამ გავიდნენ. კომისიაში დარჩა ჩეხელთა და აგრეთვე დიდთა მემამულეთა წარმომადგენელნი. დიდთა მემამულეთა წარმომადგენელმა გრაფმა ბუკოამა და ფრიდრიხ შვარცენბერგმა განაცხადა, რომ იგინი პრინციპიალურად უარს არა ჰყოფენ ჩეხიის სახელმწიფო უფლებას, მაგრამ საჭიროთა სთვლიან კრემარჟის წინადადების ზოგიერთი მუხლი გულ-დასმით იქმნას განხილული და გამორკვეული.

ადრესის პროექტის გადათვალიერება უნდა მიენდოს განსაკუთრებულს კომისსიასაო. კ ემარქმა სთქვა, რომ შეადგინონ კომისსია ექვსის კაციდამ, მხოლოდ იმ პირობით-კი, რომ მათი ბჭობა ამ საგნის შესახებ ფარულად მოხდესო. ამაზე ყველანი დასთანხმდნენ და გარდასწყვიტეს ავსტრიელ ლიბერალთა დეპუტატებს წინადადება მისცენ მიიღონ მონაწილეობა კომისსიის წევრების აღმორჩევაში, ხოლო სანამ მათგან პასუხს მიიღებდენ წევრთა აღმორჩევა უნდა გადიდვას.

თუმც ჩეხელები დამშვიდდენ, მაგრამ საეჭვოა ამ თხოვნის შესახებ შეთანხმება მოხდეს ავსტრიელთა და იმათ შორის. უფრო სარწმუნოა, რომ ეს საქმე კომისსიაშივე დარჩება და თავისს დღეში ვერ მოესწრება თავისს განხორციელებას.

თეატრის მატიანე.

ბ. გედევანოვმა თავისს საბენეფისოდ აღირჩია დიდებული კომედია ბომარშესი „ფიგაროს ქორწინება“. ეს პიესა იმდენად რთული და ძნელია, რომ თვით პარისის შესანიშნავ თეატრში, საცა საუკეთესო არტისტები თამაშობენ, მეტის-მეტი სიფრთხილით ეკიდებიან მას. რადგან ეს პიესა პირველად წარმოადგინეს ჩვენს სცენაზედ, ამისათვის არც შეგვიძლიან დიდის სისასტიკით მოვეპყრათ არტისტებს. ამ პიესის დაწვრილებით გარჩევა გადაგვიდვია შემდეგისათვის. ხოლო გუშინდელ წარმოდგენაზედ-კი ის უნდა ვსთქვათ, რომ საუბედუროდ მეტად სუსტად აღასრულეს. ბ. გედევანოვის გარდა არც ერთმა არტისტმა არ იცოდა თავისი როლი (განსაკუთრებით ქ-ნმა ავდ-ლიშვილისამ და ბ-ნმა სვიმონიძემ). ბ-ნი გედევანოვი მეტად აღელვებული იყო და ქეიფზედაც არ იყო. მხოლოდ ქ-ნმა საფაროვისამ აღასრულა მშვენივრად თავი'ი როლი. ძალიან კარგად შეეგნო ცბიერისა, მაგრამ გონიერისა და მოხერხებულის მოსამსახურის სუზანას ხასიათი თუმც ზოგიერთჯერ იმანაც გადააჭარბა. არ უნდა დავიწყებოდა, რომ გოგო და მარკიზის წინაშე ისე თამამად ვერ მოიქცევოდა, როგორც იმან ითამაშა მესამე მოქმედებაში, როცა დაკეტილის ოთახიდამ დოინჯით გამოდის ხერუბინის მაგიერ. ბ. სვიმონიძე-კი მარკიზის მაგიერ, თბილისის „ძმა ბიჭის“ როლს თამაშობდა. კარგი იყვნენ ქ-ნი ჩერქეზიშვილისა და ბ. გუნია..

ხალხი სამწუხაროდ ცოტა იყო. მობენბფისეს აღტაცებულის ტაშის ცემით მიეგება სზოგადოება და ბევრი საჩუქრით დააჯილდოვა.

ლია წერილი დრამატიულ საზოგადოების გამგეობას.

ვინ ამბობს ეკალ-ნარიანი არ იყოს უმეტესთა ამა თუ იმ ასპარეზზედ ახლად გამოსულთა გზა. სახელი და პატივი თვით გენიოსთაც არ მოუპოვიათ მყისვე თვის პირველი შრომით, თუნდ ეს შრომაც უცილებლიდ გენიოსურიც ყოფილიყოს. ეს სავსე უსიამოვნებით გზა უფრო ხშირია დრამატურგთა ცხოვრებაში და უფრო საგძნობელიც მათთვის.

წარმოიდგინეთ იმ მხატვრის მდგომარეობა, რომელსაც ხანგრძლივი შრომის შემდგომ სწორეთ იმ დროს,

---

იყოს!.. საბა ორბელიანის სიცრუე-მეთქი სულ სხვაა. საბა ორბელიანის სიცრუე ზღაპარია, არაკია, იგავია. იგავი, არაკი, ზღაპარი იმისთანა სახეა, კანია აზრისა, რომელიც საჭკუო და საზნეო ჭეშმარიტებას ზედ-მიწევნით გვიხატავს ხორც-შესხმულად, ჭკუას გვასწავლის, გვარიგებს, ზნეს გვიწურთნის, ავსა და კარგს გვანიშნებს ერთმანეთში გასარჩევად. თუ საბა ორბელიანისებური ზღაპარი, არაკი ამას არა სჩადის, გასზრახვად, საგნად-კი სწორედ ეს უნდა ჰქონდეს, თორემ ზღაპარი, არაკი, იგავი თავისს მიზეზს არსებობისას მოკლებულ იქნება. ამ მხრით ზღაპარი, არაკი, იგავი სიბრძნეც არის და სიცრუეც. სიცრუე თვითონ ამბავია, სიბრძნე—შიგ ჩასახული აზრია. ერთიც, მეორეც დამესამეც ხელოვნური ხორცთ-სხმაა საჭკუო, საზნეო სწავლა-შთაგონებისა, განსახოვნებაა აზრისა, ისეთი განსახოვნება. რომელიც ნარტო შემოქმედობითის ნიჭის საიდუმლოებას შეადგენს.

ჩვენი ზღაპარი ტყუილად-კი არ იწყება „იყო და არა იყო რათი“. „იყო“ შიგ ჩასახული აზრია და აზრი ხომ ყოველთვის ყოფილა, არის და იქნება. „არა-კი იყო რა“ ეკუთვნის თვით ამბავსა, რომელიც არც ყოფილა და არც არის. ამიტომაც არაკი, რომელშიაც ცოცხლად, ცხოვლად არის ჩასახული აზრი, იზიდავს ადამიანის გულისყურს იმდენად, რომ თვით არაკის სიცრუეც-კი მართალი ბგონია და სულ გავიწყდებათ, რომ ყურს უგდებთ მოგონილ ამბავსა. ამ სასწაულს სჩადის ხელოვნება.

მე მგონია, რომ თვით სიტყვა „არაკი“ წარმომდგარია „არა-კი იყოდამ“, მხოლოდ შემოკლებულია.

აქაც გთხოვთ, მემოწმნეთ, თორემ ამასაც ხელიდამ გამომგლეჯს ჩვენი გ. წერეთელი, ეგ სიტყვა პირველად მე ავხსენიო და დავიღუპე ხომ კაკალი კაკი. მესამე დასი ხომ დაუჯერებს და დაუჯერებს და ერთს ადლზე კიდევ მაღლა აასკუპებს თავისს მეთაურს.

როცა მთქმელი ასე იწყებს ზღაპარს: „იყო და არა-კი იყო რაო“, თითქო თავიდამვე ჰსურს გაუწყოთ, რომ არ ყოფილს, არ არსებულ ამბავს გეუბნებიო, ხოლო სულს ადევნე გულისყური და არა ხორცსაო, აზრსა და არა ამბავსაო, რადგანაც ამბავი მარტო აზრის გამოსასახავად არის აქ ჩართული და მოგონილიო. ამიტომაც თუ ზღაპარს, არაკს, იგავს აზრი არა აქვს, უგემურია, უმარილოა. როგორც ოხუჯობა კევი-ღეჭია „გზა-კვალისა“, ამ „კვალის“ უქვით-კირო და ბურბუშელა დედა-ბურჯისა.

ზღაპარი, არაკი, იგავი მხოლოდ მაშინ აიყოლიებს ხოლმე გატაცებით ადამიანის გულისყურს, როცა გამცნებთ რასმეს საჭკუოს და საზნეოს მართალს, რომელიც ისე შიშველად, ხორც-შეუსხმელად, უსახოდ, უსურათოდ, უფერადოდ ყველასათვის ადვილად დასანახი არ არის. ვიმეორებთ: სწორედ ამიტომ ზღაპარი, არაკი, იგავი ერთსა და იმავე დროს სიბრძნეც არის და სიცრუეც, სიბრძნე სულით, სიცრუე ხორცით. აქ სიცრუე ხატებაა, განსახოვნებაა სიბრძნისა. ამიტომაც ესეთი სიცრუე არამცთუ ცოდვაა, ასე სამართლიანად საზიზღარი კაცთა ურთიერთობაში და ასე მოწონებული „კვალში“, არამედ მადლია, რომლითაც ასე გამოჩენილნი არიან ეზოპე, ლაფონტენი, გრიმმები-ძმანი, ანდერსონი, კრილოვი, საბა ორბელიანი და სხვანი, ამ სახით მქადაგებელნი სიბრძნისა და ჭეშმარიტებისა. თვითონ სამლრთო წერილის იგავნი ამავე ორ-კეც თვისებისა და ღირსებისანი არიან.

მთელი ეგრედ წოდებული სიტყვა-კაზმული ლიტერატურაც ამ საფუძველზეა აშენებული: მოგონილის ამბით ცხად ჰყოს მართალი. იგიც ამ სათავიდამ მოდის. ამიტომაც ამგვარს ლიტერატურაში არ არის არც ერთი მოთხრობილი ამბავი, რომ მართლა მართალი იყოს, მართლა ნამდვილი იყოს: სულ ადამიანის ფანტაზიით შექმნილია და ისეთის შემოქმედობით ხორცთ შესხმული, სულთ-ჩასახული, რომ კაცს-კი არ ეჯავრება, დიდადაც მოსწონს და ესურვება. ტარიელი, ნესტან-დარეჯანი, ავთანდილ, ფრიდონ, თინათინ არც თავისს დღეში ყოფილან და არც არიან, არც ოდესმე უცხოვრიათ და არც ეხლა სცხოვრებენ, მაგრამ აბა ჰნახეთ ჩვენი საკვირველი რუსთაველი როგორ სასწაულთ-მოქმედობს ადამიანზე, როცა იმათს ცხოვრებას გვიამბობს, მათის ცხოვრების მაჯისცემას გვატყობინებს!.. შოთამ მის მიერ მოგონილ ამბავს ისეთი სული ჩაატანა, რომ ამ ჭეშმარიტ სულისაგან თვით არა-ჭეშმარიტი ამბავი მართალი გვგონია. აი ეს საოცარი გარდაქმნა, ანუ უკედ ვთქვათ, ქმნა არყოფილისა ყოფილად მარტო შემოქმედს შეუძლიან და ამიტომაც ამ ღვთიურს ძალ-ღონეს ქმნისას შემოქმედობას ეძახიან.

დიაღ, ესეთია იგი საიდუმლოება ერთ გვარის მადლისა, რომელსაც ზეგარდამოშთაგონება ჰქვიან და რომელიც თვით ცოდვილს სიცრუესაც-კი მადლს აქმნევინებს ხოლმე და ყურ-მოჭრილ მსახურად უხდის სიბრძნესა.

კიდევ სხვა მაგალითს მოვიყვანდი ამისთანა მადლიან შემოქმედობისას, ზეგარდამოშთაგონებისას თუნდა «რუხი-მგელს“ გ. წერეთლისას, მაგრამ ვწუხვარ, რომ არავის წაგიკითხავთ და თაგვებს დარჩათ შესაჭმელად. თაგვებმა უფრო იციან ამისთანა სანუკბარის ყადრი. რითი ჩამოუვარდება ეს „რუხი მგელი“ ვეფხვის-ტყაოსანს? მარტო იმით, რომ აიღებ ხელში თუარა, გადააგდებ, სხვით ხომ არაფრით! აი ეხლაც გვპირდება გ. წერეთელი, ოღონდ „კვალზე“ ხელი მომიწერეთო და ჩემს ახალს ნაწერს „გულქანს“ მუქთად მოგართმეკთო. მოდით და ამისთანა საჩუქარს ზურგი შეაქციე. თაგვებს ეხლავე სუნი აუღიათ, კბილებს თურმე ჰლესენ და სიხარულით იძახიან: რაგვეშველებოდა, რომ ბ-ნი გ. წერეთელი არა გვწყალობდესო.

მართალია, სიცრუეს ისე სამართლიანადა აქვს წამხდარი სახელი, ისეთი საზიზღარი რამ არის ადამიანის ყურისათვის, რომ სჯობდა ამისთანა საქმეში სულაც არ ხმარებულიყო. მე დიდის სიხარულით აქ არც-კი ვახსენებდი. ღმერთმა სიცრუეც შეარცხვინოს და მისი მადლიც. ამ საქმის საკადრისი სხვა სიტყვაა საჭიროა!.. ხოლო იმისთანა ბძენი და სათნო კაცი, როგორიც საბა ორბელიანია, რაკი სიბრძნესთან სიცრუესაც ახსენებს და თავისს გონების ნაღვაწს სიბრძნე-სიცრუის წიგნს არქმევს, ჩვენ ამ სთანა სიტყვისათვის ჭკუა უნდა მოგვენახა. უსათუოდ უნდა გვეკითხნა: ამით რის თქმა უნდოდა იმისთანა წინ დახედულს, ჭკუიანს და სათნოებით სვსეს კაცს, როგორიც საბა ორბელიანია. ამას მოითხოვს იგი სამართლიანი პატივის ცემა, რომლითაც ჩვენ აღსავსენი ვართ საბა ორბელიანის მიმართ. საბა ორბელიანის სიცრუე და ერთობ სიტყვა-კაზმულ ლიტერატურისა უცოდველია, უმწიკვლოა, უბოროტოა უბრყვილოა. იგი ნამუსიანია, არც არავისა ჰმტრობს, არც არავისა ჭგმობს. ამაზე მეტსაც ვიტყვით, იგი მადლიანია იმ მხრით, რომ აზრის ამსხნელია, მაუწყებელია, გაგების გზა და ხიდია, ცოცხალი ხატია, ხელთ ქმნილი დიდის გრძნეულებით.

ამით ვათავებ ჩემს პირველს ლექციას თუ ვერა გბგაგებინეთ-რა, ნურას უკაცრაოდ. საქართველოში განა ვინა ჰლაპარაკობს იმისათვის, რომ გბგაგებინოთ-რამ? მე რა წითელი კოჭი ვარ? ვისი მეტიჩარა? ამაზე ნუ ამიხირდებით, თორემ გავაბამ და აღარ გავათავებ ლაპარაკსა. ეხლაც მე თქვენგან მოწონების ტაშს ველოდი და ამის მაგიერ ვხედავ, რომ თავს აკანკურებთ თვლემისაგან და მინამ ხვრინვა არ ამოგიშვიათ, გეთხოვებით მეორე ლექციამდე.

ჯიბრეილ.

ეროვნული ბიბლიოთეკა

როდესაც მან უკანასკნელად მოუსვა კალამი და მით სურათიც დაამთავრა და აი ეხლა ემზადება დიდის აღტაცებით, დიდის ამბით გადაავლოს თვალი მისგან დამთავრებულს სურათს, შეიტყოს, რა გამოვიდა მის ამდენი ხნის შრომისაგან, დასტკბეს თავის ხელოვნებით, სწორედ იმ დროს მოსტაცეს მას ეს სურათი და თვალითაც აღარ დაანახვეს. თავის ქმნილება. მხოლოდ ბუნდათ დარჩა დაუსრულებელი სურათის წარმოდგენა მის ხსოვნაში.

დრამატურგიც იგივ მხატვარია. ის ჰქმნის, ჰქარგავს სურათს და რთულ სურათსაც. მას პეიზაჟად აურჩევია ადამიანის ცხოვრება და შეძლებისა დაგვარად ჰხატავს თავისებურ ტილოზედ შესამჩნევ წამებს, ხანას ადამიანის ცხოვრებიდამ, ტიპებს. მას ღვიძლი შვილივით უყვარს ყოველი მისგან შექმნილი ტიპი, სურათი, ადგილი. იგი მისი სისხლ-ხორცია. აკი მშობლიურადაც ეალერსება მათ, ვერა ძღება მათის ცქერით, მათის წარმოდგენით. მაგრამ ჯერ-ხანობით მისი მხატვრობა დაუმთავრებელია. დამთავრდება სავსებით მხოლოდ მაშინ, როდესაც მისგან შექმნილი მხატვრობა გაცოცხლდება, ხორცს შეისხამს, სულს ჩაიდგამს, ალაპარაკდება, ამოძრავდება. თუ დრამატურგი ამას ვერ მოესწრო, მისი მდგომარეობა იმ მხატვარზედ უარესი იქნება, რომელსაც მოსტაცეს და თვალითაც აღარ დაანახვეს თავისი დამთავრებული, დავაჟკაცებული ღვიძლი შვილი-ხელოვნება.

ამისთანა მწარე ხვედრი, არამც-თუ ჩემისთანა ჩვეულებრივი მომაკვდავის, თვით გენიოსების ცხოერებაშიაც ძრიელ ხშირია. თვით სახელოვან გრიბოედოვს, ავტორს უკვდავი პიესისას, არ აღირსეს დამტკბარიყო თავის ხელოვნებით. გამოჩენილი დიუმა-შვილის დღეს გამოჩენილი პიესა „მარგალიტა გოტიე"-ც დიდ ხანს ეგდო მივიწყებული საფრანგეთის თიატრებისაგან და იქნება სულაც მივიწყებულიყო, რომ შემთხვევას არ შეეწყო ხელი.

სწორეთ ამ მოსაზრებით არც მე გამკვირვებია ჩვენი დრამატიული საზოგადოების გამგეობის სრული უყურადღებობა ჩემი პიესებისათმი. არც დღეს ამოვიღებდი ხმას, (ან რა მეთქმოდა? წაიკითხეს, დაიწუნეს, კაცია და გემოვნება! თუმცა ხელოვნებასთან გემოვნებას ადგილი არა აქვს. მას თავისი კანონები აქვს.) მაგრამ წარმოიდგინეთ ჩემი განცვიფრება, რომ გამგეობამ ამ უყურადღებობისათვის ძლიერ გადუჭარბებია და თვისი პირველი მოვალეობა შეულახავს: დღემდის არ უნებებია ჩემის პიესის გადაკითხვა!.. მივცემ ჩემ თავს ნებას და ვკითხავ დრამატიულ საზოგადოების გამგეობას: რატომ არ ინებეთ ჩემის პიესის წაკითხვა? ნუთუ დრო ვერ იპოვეთ, ვერ მოასწარით მთელ ორ წელიწადში? ან იქნება ჩემმა პირველმა პიესამ მოგცათ საბუთი მეორესათვის ყურიც არ გეთხოვებინათ?

ორ წელიწადს მეთქი, ზევით მოგახსენეთ, რადგან ეს პიესა ხელთ-ნაწერი, ცენზურის ნება დართვით შარშანვე ჰქონდა წარდგენილი დრამატიულ „ამხანაგობას" და დღესაც გამგეობის წევრების უმეტეს ნაწილს ხომ ისევ იმ „ამხანაგობის" წარმომადგენელნი შეადგენენ. შარშან ერთმა არტისტოაგანმა მოისურვა ამ პიესის (მე მოგახსენებთ ახალ პიესაზედ „ცხოვრება ბრძოლაა.") თავის ბენეფისში დადგმა, მაგრამ პიესა საღღაც მიეჩქმალა ამხანაგობას, რასაკვირველია წაუკითხავად. როდესაც სეზონი მიიწურა, — პიესაც გამოჩნდა.

რომ პიესა აღარ მიჩქმალულიყო, ან სულაც არ დაკარგულიყო და გამგეობისთვისაც გამეტვილებინა მისი გადაკითხა (დიაღ, გადაკითხვა, თორემ წაკითხვას ვინა ჩივის!) მე განვიზრახე მისი დაბეჭდვა. მერე როგორ მოეპყრა გამგეობა ჩემს გონებრივს შრომას და ქონებრივს გარჯას? (დიაღ, ქონებრივს, რადგან ტფილისის თეატრი „პირველი ბუზია", რომლის აზრს პროვინციაც აჰყვება, მკითხველიც და მყიდველიც) როგორ მოეპყრა და თავიც არ აიტკია წაკითხვით. რატომ, ბბ. წევრნო გამგეობისავ? განა პირველ თქვენ მოვალეობას არ უნდა შეადგენდეს ახალი პიესების შეძენა, ახალის რეპერტუარის შედგენა სამშობლო ცხოვრებიდამ? მარტო ნათარგმნი პიესებით ნუ თუ გგონიათ თქვენ ქართული თეატრი აალორძინოთ, წარმატების გზაზე დააყენოთ? არ დაივიწყოთ, ბატონებო, რომ საუკეთესო ნათარგმნ პიესებზე უმეტეს ნაწილს ჩვენის საზოგადოებისას ტკბილად ამთქნარებს. გაზვიადებული არ გეგონოთ, მერწმუნეთ, ეს მართალია. ან იქნება გგონიათ, რომ ჩვენში აღარც ცხოვრებაა და აღარც მისი დასურათება ღირდეს? ან იქნება აუარებელი ახალი ორგინალური პიესები მოგაყარეს ჩვენდა გასახარად და თავი ვერ აართვით, ჩემის პიესისათვის ველარ მოიცალეთ? თუ ასეა, მთელ ამ ორს წელიწადში რატომ ერთი მაინც ახალი ორგინალური პიესა არ მოგვაწოდეთ. თუნდა სუსტადაც, მაინც სასიამოვნო იქნებოდა გაგვეგო, რა ხდება ჩვენს ცხოვრებაში, რას ვემსახურებით, რას ვაკეთებთ, რითი ვსასოობთ, რით ვიმედოვნობთ, რა გვემართება, რა გველის. დიახ, ხუთ წვლიწადში ერთხელ ერთი ახალი ძლივს ჩნდება და იმისთვისაც თავი არ შეიტკიოს გამგეობამ, არ გადიკითხოს, სწორედ მიუტევებელ ცოდვად მიმაჩნია მისთვის.

ან იქნება სათაურმა დაგაფთხოთ? საკვირველი არ არის. მე რომ ჩემი პიესისათვის მარტო „ცხოვრება" მეწოდებინა, სიტყვა „ბრძოლა"-კი არ გამეჩემებინა, შესაძლოა ორჯელაც წარმოდგენილიყო დღემდის. მაგრამ ეს ოხერი „ბრძოლა"... ნამეტურ ამ უკანაკნელ ხანებში ძრიელ ვუფრთხით ქართველები ამ სიტყვას. ეგ ერთ-ერთ ... ...